

## კანდიდატების შედეგები საბოლოო მონაცემების შეჯამება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინასწარი შედეგების შემაჯამებელი მონაცემები მედიას გუშინ, 20:00 საათზე წარუდგინა. ცესკო-ს სპიკერ ეკა აზარაშვილის ინფორმაციით, საარჩევნო ადმინისტრაციამ 3 741 უბნის შედეგები შეაჯამა.

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ხმების 62,11 პროცენტი მოიპოვა; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ - 21,73 პროცენტი; „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კან-

დიდატმა ნინო ბურჯანაძემ - 10,18 პროცენტი; „ლეიბორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა - 2,88 პროცენტი; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი თარგამაძემ კი - 1,06 პროცენტი.

## უცხოური პრესა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უცხოური მედია ეხმაურება. გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ვოშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ქართველმა ამომრჩეველმა ახალი პრეზიდენტის არჩევნებში სააკაშვილის კანდიდატზე უარი თქვა. „თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პოსტს ტოვებს. კვირას გამართულ არჩევნებში ქართველმა ამომრჩეველმა ცხადად დააფიქსირა, რომ აღარ არის დაინტერესებული სააკაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის გახანგრძლივებით.“ - აღნიშ-

ნავს „ვოშინგტონ პოსტი“. „მიხეილ სააკაშვილის საქმეები არც ისე ვარდისფერადაა, რადგან საქართველოს ყოფილი ლიდერი შესაძლოა, დააპატიმროს.“ - წერს ბრიტანული გამოცემა „ინდიფენდენტი“ და განმარტავს, რომ საქართველომ ახალი პრეზიდენტი აირჩია, რაც რევოლუციის გმირს პოლიტიკური მეთოდების მხრიდან რევანშის შიშის გრძობას უტოვებს. „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ჯერ გაურკვეველია, ვინ იქნება საქართველოს ახალი პრეზიდენტი და აღნიშნავს, რომ საქართველომ, მართალია, ახალი პრეზიდენტი აირჩია, მაგრამ რეალური ძა-

ლაუფლება მომავალი პრემიერის ხელში იქნება. „ქართველებმა კვირას ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, ვინ დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს ბიძინა ივანიშვილის თანამდებობიდან ნასვლის შემდეგ.“ - წერს „ნიუ იორკ ტაიმსი“. „როიტერი“ იუწყება, რომ საქართველოში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრემიერ-მინისტრის ნაკლებად ცნობილი კანდიდატის გამარჯვებით მმართველი კოალიცია ძალაუფლებას გაიმყარებს. **ბაზრძალაძა  
მე-6 გვერდზე**

## ბაქრაძის 21 პროცენტი - სიურპრიზი ივანიშვილისთვის

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან ერთად,

პრესკონფერენცია გამართა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ 24 ნოემბერს თანამდებობას და პოლიტიკას დატოვებს. „24 ნოემბერს დანიშნუ-

ლი მაქვს კრება, სადაც გადავდგები, წავალ პარტიიდან და პოლიტიკიდან. **ბაზრძალაძა  
მე-2 გვერდზე**



## ამერიკას განმარტაობა ესპანეთის მოსტოვება

ივა შილაკაძე

საერთაშორისო ჯამბუშურ სკანდალში ახალი სახელმწიფოები და ქვეყნები ერთვებიან. ამჯერად ესტაფეტა ესპანეთმა „გადაიბარა“. ბოლო დღეებში ამ ქვეყნის წამყვან გაზეთებშიც „ელ-პაისშიც“ და „ელ-მუნდოშიც“ გამოქვეყნდა სტატიები ელუარდ სნოუდენის მიერ მოპარულ და მედიისთვის გადაცემულ მასალებზე დაყრდნობით იმის შესახებ, რომ ერთი თვის განმავლობაში ესპანეთში ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ 60 მილიონი ზარი ჩაინერა თუ მოუსმინა. **ბაზრძალაძა  
მე-4 გვერდზე**



1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანქა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$
თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C
ნავთობი	3.19 +0.00 +0.16%
გაზი	3.58 +0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20 -9.80 -0.56%
ხორბალი	868.50 +12.25 +1.41%

„24 საათი“ ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**  
ჩვენი პარტნიორები:  
თბილისი ბანკი TBC BANK  
ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს  
FM 102.4  
ბანკი კონსტანტა BANK KONSTANTA  
ISSN 1987 9121  
9|771987|912100|>

## ახალგაზრდები დიდების კვლევას მსოფლიო ჩემპიონები არიან

**გიგა ბარსაშვილი**  
1 სექტემბერს საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრებმა რომ დე ფანეიროს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა ფინალში რუსეთის ძღვევით

(3:2) იზიმა. თითქმის ორი თვის თავზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლიუბლიანას მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე იგივე გაიმორა. **ბაზრძალაძა  
მე-8 გვერდზე**



## ნიკოლოზ ცისკარიძის ახალი როლი

დიდი თეატრის ყოფილი პრემიერი, ბალეტის სახელგანთქმული მოცეკვავე ნიკოლოზ ცისკარიძე ვაგანოვას სახელობის ცეკვის აკადემიის რექტორი გახდა. ის რუსეთის კულტურის მინისტრმა გრიგორ ივლიევმა დანიშნა. ვაგანოვას სახელობის აკადემია ერთ-ერთი სახელგანთქმული და ავტორიტეტული საბალეტო სასწავლებელია თანამედროვე საბალეტო სამყაროში, სადაც სწავლობენ არა მხოლოდ რუსეთის მოქალაქეები, არამედ სტუდენტები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, სადაც საბალეტო ხელოვნება პოპულარული და მოთხოვნილი საშემსრულებლო ხელოვნებაა. ამავე აკადემიის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნა რუსი მარიას თეატრის ბალეტრინა იულიანა ლობოტკინა. რომელიც პარალელურად მოცეკვავის კარიერას გააგრძელებს. **ბაზრძალაძა  
მე-5 გვერდზე**









# ნიკოლოზ ცისკარიძის ახალი როლი

პირველი გავრცელება

რა პერიოდის ხელშეკრულებას დაუდებს სამინისტრო ნიკოლოზ ცისკარიძეს ამ ეტაპზე უცნობია.

რუსეთის კულტურის მინისტრი ნიკა ცისკარიძის აკადემიის რექტორად დანიშნვნას ხსნით იმით, რომ მას აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება და იურიდიული განათლება. თავად ნიკა ცისკარიძე იხსენებს, რომ ამ ტანამდებობაზე მისი დანიშნვის შესახებ დისკუსია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო, როცა ცისკარიძე მონაწილეობდა სახელოვნო განათლების კანონში ცვლილებების შეტანის კომისიაში.

ნიკოლოზ ცისკარიძის სამსახურის საკითხი დიდი ხნის განხილვის საკითხია. რამდენიმე თვიანი დავა მასა და დიდ თეატრს შორის, ცისკარიძის, როგორც რექტორის თეატრიდან ნამოსვლით დასრულდა. ამის შემდეგ ის ანარმობდა მოლაპარაკებებს მარიას თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელთან ვალერი გერგიევთან. თუმცა ცისკარიძე ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად არ დანიშნულა. მას შესთავაზეს კრემლის საბალეტო დასის ხელმძღვანელობა, რაზეც აღიარებულმა მოცეკვავემ თავად განაცხადა უარი.

ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრის სოლისტი გახლდათ 20 წლის განმავლობაში. დიდი თეატრის გარდა ნიკა ცისკარიძეს იცნობენ და ოვაციებით ეგებებიან მსოფ-



ლიოს ყველა ნამყვან საბალეტო სცენაზე. ნიკა ცისკარიძე უნიკალური მონაცემებისა და შესაძლებლობების მოცეკვავეა, რომელმაც მოიპოვა საბალეტო ხელოვნებაში არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი

პრემია და სტატუსი. პეტერბურგის ვაგანოვას სახელობის აკადემია დაარსდა 1783 წელს და ის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი საბალეტო სასწავლებელია ევროპაში. 24 საათი

# კაცი ხავერდის მიწისქვეშაიდან

გუმინ ლეგენდარული ლუ რიდი გარდაიცვალა



ნა ვეპა

ბაა, სწორი ადგილი კი ნიუ იორკი, სადაც ჯერ მომავალი მუსიკოსები გაიცნო, შემდეგ ჯგუფი შექმნა, პატარა სცენიდან შედარებით დიდზე გადაინაცვლა, მოხვდა ენდი უორჰოლის ფაბრიკაში, მის სამეგობრო წრეში - მაშინდელი ამერიკის ყველაზე მოუთოკავ, ნარმოუდგენელი იდეებითა და პროვოკაციული სურვილებით შეპყრობილ საზოგადოებაში, რომელსაც ყველაზე მეტად სწორედ ლუ რიდის მსგავსი ახალი სისხლი აცოცხლებდა.

ლუ რიდის მუსიკას ზედმეტად პირქუშ, მონყენილ და უხასიათოდ მიიჩნევდნენ, რაზეც მუსიკოსი პასუხობდა: „The Velvet Underground-ის დროინდელი კომპოზიციებიც კი ძალიან მზიარულად მეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ძლიერი ემოციური ლეღვის, ნონკონფორმიზმის წყურვილითა და ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ გალაშქრების სურვილით ვნერდით. ეს სიძღვრები არ გახლავთ მოდური, არ ეკუთვნის მხოლოდ ერთ ეპოქას, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მათ მომავალშიც მოუსმენენ, რითაც წინასწარ ვამაყობ“.

რიდის ეს სიტყვები 1997 წელს ზუსტად ახლა, როდესაც მისი 1972 წლის პიტი Perfect Day BBC-ს ინიციატივით რამდენიმე მუსიკოსმა (ბონო, დევიდ ბოუი, ელტონ ჯონი, სუზან ვეგა, ტომ ჯონსი, „ბიოზონი“, BBC-ს სიმფონიური ორკესტრი და უამრავი სხვა) ჩანერა, შემოსული თანხა კი ქველმოქმედებას მოახმარეს. ეს თანამშრომლობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მისი მსგავსი ბეგრუნის მქონე სხვა ვარსკვლავებისგან განმსხვავებით ლუ რიდი არასდროს ერიდებოდა ახალგაზრდა, სულ სხვა მუსიკის ნარმომადგენლებთან თანამშრომლობას: მუშაობდა The Killers-თან, Gorillaz-სთან, Metallica-სთან კი 2011 წელს მთელი პროექტი Lulu შექმნა.

ამასთან ლუ რიდი ერთ-ერთ ყველაზე შრომისმოყვარე და აქტიურ მუსიკოსად მიიჩნეოდა. ამბობდა კიდევ, რომ მის გონებაში გამუდმებით ჟღერდა მუსიკა და არასდროს ტოვებდა ამ მუსიკის ინსტრუმენტით აფლერების სურვილი. ზოგჯერ თავის გაზარამაცებულ კოლეგებსაც საყვედურობდა: „ჯერ კიდევ ცოცხლები ხართ, თქვენი ახალი ალბომები კი აღარ გამოდის!“

ახლა კი ლუ რიდის ახალი ალბომები აღარ გამოვა, რადგან ლუ რიდი გუმინ გარდაიცვალა...

ზუსტად ახლა, დროის ამ მონაკვეთში, თუმცა სულ სხვა სამყაროში დიდი აურზაური - წლების წინ დედამიწიდან გამქრალი თაობის კერპები გუმინ გარდაცვლილ ლუ რიდს ეგებებიან, ეკითხებიან, ვინ არის თანამედროვე სცენის მეფე, რაზე მღერიან მათ შემდეგ მოსულეები, როგორ არიან დევიდ ბოუი ან იგი პოპი... ლუ რიდი ამომწურავ პასუხებს აძლევს, შემდეგ კი ყველას გადაათვალიერებს, მათთან ერთად გატარებულ წლებს გაიხსენებს და იტყვის: Oh, it's such a perfect day, I'm glad I will spend it with you...

71 წლის ლუ რიდი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ჯერჯერობით მუსიკოსის გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი არ დაუსახელებია, თუმცა როგორც მისი ქვრივი ამბობს, ლუ რიდს იტანჯებოდა ტკივილებისგან, რაც მის მიერ მიმდინარე წლის მაისში გაკეთებული ოპერაციით იყო გამოწვეული. მართალია, ოპერაციის შემდეგ ლუ რიდი აქტიურ ცხოვრებასაც დაუბრუნდა და პიტერ გაბრიელის სიმღერების ქოვერ ვერსიების ჩანერაშიც აპირებდა მონაწილეობას, ჯანმრთელობის გაუარესება გარდაუვალი აღმოჩნდა.

ვისაც თანამედროვე მუსიკის შესახებ ოდნავი ნარმოდგენა მაინც აქვს, ლუ რიდსა და The Velvet Underground-ზე აუცილებლად სმენია, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი პირდაპირი მნიშვნელობითაც ანდერგრაუნდს წარმოადგენდა, არ იყო კომერციული და ხუთიოდე სტუდიური ალბომი ჰქონდა გამოშვებული. სხვა თუ არაფერი, ეს ჯგუფი მსოფლიოს საუკეთესო ქოვერების ჩამონათვლიდან მაინც უნდა გეცნობოდეთ - ენდი უორჰოლის მიერ თეთრ ფონზე გამოსახული მწიფე ბანანი დღემდე უანრის კლასიკად მიიჩნევა.

ლუ რიდი ამბობდა: „არსებობს მოვლენები, რომელთა მართებულობა სულაც არ გახლავთ ჩემი დამსახურება. ისინი მარტივად ბრმა ილბაღმა განაპირობა - საჭირო დროს ორი ნაბიჯით მარცხნივ ვიდექი ან სამგზავროდ არა ეს, არამედ ის ტაქსი ავირჩიე. ოდესღაც ისეთი ცხოვრება მქონდა, თავისუფლად შეიძლებოდა ახლა ციხეში ვმჯდარიყავი, მაგრამ აქ ვარ.“

მისი ცხოვრების პირველი ყველაზე ზუსტი დრო და ადგილი დაბადება იყო, შემდეგი სწორი ნაბიჯი მუსიკით გატაცე-

# NATALIE



COLE  
FRIDAY, NOVEMBER 1  
TBILISI CONCERT HALL

EN ESPAÑOL OUT JUNE 25

TBC STATUS Personal Banking TBILISIJAZZ.COM /TBILISIJAZZFESTIVAL

PURCHASE TICKETS AT TBILISI CONCERT HALL'S BOX OFFICE, ONLINE AT WEBSITE BILETEBI.GE. MORE INFO BY PHONE AT 2990599

# ნახატები ოკუპირებული საქართველოდან

28-31 ოქტომბერს, სტრასბურგში, ევროსაბჭოს შენობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის ხელოვნება მშვიდობისათვის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა.

ექსპოზიციაში მონაწილეობას იღებენ 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები საქართველოს რეგიონებიდან, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

პროექტის მონაწილე ხელოვნები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-

კის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა ყოვრიმ ორ ნომინაციაში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ნამუშევრები და მშვიდობის მზე შეარჩია.

პროექტი ხელოვნება მშვიდობისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთან ერთად ხორციელდება. 24 საათი





